

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

*ხელნაწერის უფლებით*

სალომე ზვიადაძე

ძველი ქართული ტიპიკონი: ლიტურგიული  
ტრადიცია და სიახლე

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
სადისერტაციო მაცნე

ახალციხე  
2022 წელი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

**ნესტან სულავა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

**ქეთინო გრძელიშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

**ექვთიმე (თამაზ) კოჭლამაზაშვილი** - ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, ემერეტუს-პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა გაიმართება 2022 წლის 8 აპრილს 14 სთ-ზე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი კოლეგიის სხდომაზე, ელექტრონული პლატფორმა ზუმის საშუალებით, ლინკი გამოქვეყნდება მისამართზე: <https://sjuni.edu.ge/>.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისამართზე: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა 113, I კორპუსი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა გაიმართა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 26 თებერვლის სხდომაზე, ოქმი N 1.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,  
ასოცირებული პროფესორი:

ნათელა მელიქიძე

## სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას უდიდესი იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას მოჰყვა ტაძრების მშენებლობა, საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა ქართულ ენაზე, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა; ჩამოყალიბდა განათლებული სასულიერო ფენა და გაჩნდნენ განდეგილი მეუდაბნოეებიც.

ნაშრომში გამოწვლილვით შესწავლილი და განხილულია ტიპიკონების შექმნის ისტორია და ტრადიცია, რასაც ხელი შეუწყო VI საუკუნეში 13 ასურელი მამის მოსვლამ საქართველოში, როდესაც ფართოდ გაიშალა სამონასტრო მშენებლობა და მათი ღვაწლი ძირითადად ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს გადასწვდა, ხოლო შემდეგ მთელ ქვეყანაში გავრცელდა.

დროთა განმავლობაში ეკლესია-მონასტრები მძლავრ კულტურულ კერებად იქცა, რადგან აქ ითარგმნებოდა უახლესი ქრისტიანული ლიტერატურა, იქმნებოდა ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებები, სასულიერო პოეზია. ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლები, რომლებიც იმდენად ძლიერი და მრავალრიცხოვანი გახდა, რომ მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და საბერძნეთში გავრცელდა. შეიძლება დავასახელოთ იერუსალიმის, პალესტინის, შავი მთის, ათონის, სინას, კვიპროსის ეკლესია-მონასტრები. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა შუა საუკუნეების შუა ხანებამდე.

მონასტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არა მხოლოდ სულიერ, არამედ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ქართული სახელმწიფოს

გაერთიანებასა და აღორძინებას წინ უძღოდა ეკლესიის გამდიერება, მაგ.: გრიგოლ ხანცთელის ეპოქა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს.

ჩვენს ნაშრომში „ძველი ქართული ტიპიკონი: ლიტურგიული ტრადიცია და სიახლე“ მიმოვიხილეთ ქართული მონასტრების სრულად და არასრულად მოღწეული ტიპიკონები. სამწუხაროდ, ბევრი ტიპიკონი არ შემოგვრჩა: ხანცთის მონასტრის ტიპიკონი ფრაგმენტული სახით ასახულია გიორგი მერჩულის თხზულებაში „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, ათონის ივერთა მონასტრისა კი – გიორგი მთაწმიდელის „იოვანესა და ეფთჳმის ცხოვრებაშია“ ჩართული ერთ მონაკვეთად. სრულად შემონახულია: პეტრიწონის, გრიგოლ ბაკურიანის ძისა, ქართულ და ბერძნულ ენებზე, 1084 წ.; შიომღვიმისა, არა უგვიანეს 1125 წლისა; ვაჰანის ქვაბთა, 1212–1227, სხვა შეხედულებით, 1125–30 წ.

**საკვლევი თემის აქტუალობა და მნიშვნელობა:** თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ტიპიკონების ერთიან ისტორიულ ჭრილში შესწავლა წარმოაჩენს ქართული ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი კრებულის ლიტურგიულ ღირებულებას. ტიპიკონები სათანადოდ შესწავლილი, დღემდე ერთად თავმოყრილი, შედარებული ერთმანეთთან და ისტორიულ ჭრილში განხილული არ არის. შევეცდებით, პრობლემა საერთო – ლიტურგიულ და ლიტერატურულ კონტექსტში განვიხილოთ.

**კვლევის მიზანი:** ჩვენი სადისერტაციო თემის მიზანია ძველი ქართული ტიპიკონის შესწავლა ისტორიულ ჭრილში; ქართული ტიპიკონის სრული ტექსტის შემცველი პეტრიწონის, ვაჰანის ქვაბთა და შიომღვიმის მონასტრების, აგრეთვე არასრულად მოღწეული ხანცთისა (ტაო–კლარჯეთისა) და ათონის

მონასტრების ტიპიკონების ურთიერთმიმართების დადგენა; რა პრინციპები დაედო საფუძვლად მათ შედგენას, რომელ ტრადიციას მისდევენ და რა ადგილი დაიკავა თითოეულმა ქართული ეკლესიის ისტორიაში, რამდენად არის წარმოდგენილი ტიპიკონებში ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია და ჰომილეტიკა.

ტიპიკონები უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი წყაროა იმ დროის არა მხოლოდ სამონასტრო ცხოვრების, არამედ ენის, ქვეყნის ისტორიის, სოციალური ურთიერთობების, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის, ლიტერატურისა და ა.შ. შესასწავლად. ჩვენი კვლევის მიზანია, შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა ყველა ეს და ამასთანავე ბევრი სხვა საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხი ბერ-მონაზონთა სულიერი და მატერიალური ცხოვრების შესახებ, როგორებიცაა: ეკონომიკური და სამეურნეო ხასიათის ტერმინოლოგია, იურისპრუდენციის მასალები – იერარქია მონასტრებში, სამოხელეო თანამდებობათა დასახელება; საეკლესიო, წირვა–ლოცვის დროს სიწმინდის სამსახურებელი ნივთები („იარაღები“), ძვირფასი თვლები, ზომა–წონის ერთეულები, ფულის დასახელებები, მნიშვნელოვანი ისტორიული პირების ბიოგრაფიული მონაცემები, ისტორიული მოვლენები და ა.შ.

**მეცნიერული სიახლე:** სადისერტაციო ნაშრომი იქნება ახალი სიტყვა არა მხოლოდ ქართული, არამედ ბერძნულენოვანი ქრისტიანული ტიპიკონების ისტორიაში, რადგან ძველი ქართული ტიპიკონი მაცხოვრის საფლავის ტაძრის (პალესტინურ–საბაწმიდური), ანტიოქიური ეკლესიისა და კონსტანტინეპოლური ტიპიკონების საფუძველზეა შექმნილი, მაგრამ იგი არ იმეორებს და სიტყვასიტყვით არ მიჰყვება უცხოენოვან ტექსტებს. ქართულ ტიპიკონებში გათვალისწინებულია ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და ქართველ

წმიდა მამათა სამონასტრო ცხოვრების თავისებურებანი; წარმოჩენილია ის ნიშნები, რაც ქართულ სამონასტრო წესდებებს უშუალოდ აკავშირებს სხვა ტიპიკონებთან და რაც განასხვავებს მათგან. ამ მიმართულებით კვლევა აქამდე მხოლოდ ფრაგმენტული იყო და მონოგრაფიულად დამუშავებული არ ყოფილა. ვფიქრობთ, ეს ნაშრომი შეავსებს ამ დანაკლისს და მოგვცემს მეტნაკლებად სრულყოფილ წარმოდგენასა და ცოდნას საკვლევებრობლემის შესახებ.

**კვლევის მეთოდები:** კვლევისას გამოყენებულია ისტორიულ–შედარებითი და ანალიტიკური მეთოდები, რათა უკეთ წარმოჩნდეს ტიპიკონების ღირებულება, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება მათი რაობის, წარმომავლობის, სამონასტრო ცხოვრებასა და საღვთისმსახურო პრაქტიკაში მათი მნიშვნელობისა და ისტორიულ–ფილოლოგიური მასალის განსაზღვრა.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:** ნაშრომში გადმოცემულია ბევრი ისეთი საკითხი, რაც საჭირო და საყურადღებოა სასულიერო სემინარიისა და აკადემიის, ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებისათვის, დაინტერესებული პირებისათვის, რადგან მრავალმხრივად განხილული ჩვენამდე მოღწეული არასრული და სრული ქართული ტიპიკონები, ასევე წარმოდგენილია მათი კვლევის ისტორია, ერთვის წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი და ლექსიკონი; ტექსტი დაეხმარება მათ შემდგომ კვლევაში და გარკვეულ სამსახურს გაუწევს, საზოგადოდ, ქართული ეკლესიის ისტორიითა და წარსულით დაინტერესებულ მკითხველს, მათ შორის სასულიერო პირებს, ასევე გააცნობს ქართული მონასტრების ისტორიას.

## ნაშრომის მოკლე შინაარსი

საქართველოში X საუკუნემდე მოქმედებდა ღვთისმსახურების იერუსალიმური წესი, რომელსაც მოციქულებრივ ღვთისმსახურებას უწოდებდნენ. პირველ საუკუნეებში არ არსებობდა ღვთისმსახურების ერთიანი წესი, ყველა ქრისტიანული თემი თავისებურად ადიდებდა ღმერთს. უპირველესად გალობდნენ ფსალმუნებს, ისმენდნენ მოციქულთა მონათხრობს ქრისტეს ცხოვრების შესახებ (სკაბალანოვიჩი, 2011: 23) – ჯერ ზეპირად, შემდეგ კი, ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებასთან ერთად, ეპისტოლეებით, რომლებსაც მოციქულები სხვადასხვა ქალაქში გზავნიდნენ. იკითხებოდა ასევე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნები, რომელთა საფუძველზეც შემდეგ, IV საუკუნეში, ბერძნულ ღვთისმსახურებაში ჩამოყალიბდა ლექციონარი, ანუ ღვთისმსახურების პროცესის ამსახველი კანონი – ლიტურგიკული დღესასწაულებისათვის განკუთვნილ საკითხავთამთელი წლის კრებული (დანელია, 1987: 463).

ქართული ლექციონარი შეისწავლეს კ. კეკელიძემ, კ. დანელიამ, თ. ჟორდანიამ, უცხოელმა მეცნიერმა ბერნარ უტიემ, ლექციონარებზე შრომები, მათ შორის მონოგრაფია, გამოქვეყნებული აქვს მიშელ ვან ენსბროკს, რომელთა მეცნიერული კვლევის შედეგები მიმოხილული და გამოყენებულია სადისერტაციო ნაშრომში. ქართული ლექციონარის თაობაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა ათანასე რენუმ, რომელმაც 1967–71 წლებში გამოსცა სომხური ლექციონარის უძველესი ხელნაწერები

და დაურთო ვრცელი გამოკვლევა, შეეხო ქართულ ლექციონარსაც. მისი აზრით, ეს ტექსტი იცვლებოდა თავის პროტოტიპთან მიმართებით და ასახავს იერუსალიმური კანონის განვითარების სურათს VI საუკუნის II ნახევრიდან VIII საუკუნის II ნახევრამდე (დამოწმებულია კ. დანელიას წიგნიდან); ასევე გამოიყენება აკაკი შანიძის მიერ შესწავლილი ხელნაწერთა ინსტიტუტში (ახლანდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დაცული VIII საუკუნის ჰაემეტი პალიმფსესტი (51 ფურცელი) და გამოქვეყნებული ჰაემეტი ტექსტები, განსაზღვრულია მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. ნაშრომში მსჯელობაა უძველესი, ე.წ. ჭილ-ეტრატის იადგარის შესახებაც, რომელსაც პირველად ა. ცაგარელმა მიაკვლია და აღწერა. მიიჩნია, რომ ეს არის VII საუკუნეში გადაწერილი „სადღესასწაულო“ ან „თვენი“; აღნიშნულია უძველესი იადგარის შესწავლის საქმეში ელ. მეტრეველის, ცაცა ჭანკიევისა და ლილი ხევსურიანის დამსახურება, რომლებმაც ხელნაწერი გადაათარიღეს, ხოლო უძველესი იადგარის რედაქცია VII საუკუნეში ივარაუდეს. აგრეთვე ამ საკითხზე მუშაობდა კ. ინგოროყვაც.

### **თავი I: ტიპიკონების შექმნის ისტორია და ტრადიცია ქრისტიანულ სამყაროში**

ქრისტიანულ სამყაროში ღვთისმსახურების შემოღების აუცილებლობასა და ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ქრისტიანობამ, როგორც მწიგნობრულმა რელიგიამ, რომელიც თავის მხრივ ითხოვდა ახალ წესრიგს, ახალ ცოდნას, საღვთისმსახურო წიგნების შექმნას და განაპირობა ასევე სასულიერო საზოგადოების



ჩამოყალიბება, რომელთაც გარკვეული წესებით უნდა ეცხოვრათ და ეღვაწათ. ჩანს, რომ ეს პროცესები ადრეული პერიოდიდანვე იწყება. უცხოელი მკვლევრის მიხედვით სკაბალანოვიჩის მოსაზრებაზე დაყრდნობით, აღნიშნულია, რომ ჩვ. წ. აღ-ის I საუკუნეში უკვე არსებობდა ქრისტეს აღდგომით ფრთაშესხმული მოციქულებრივი ღვთისმსახურება: მთელი დღის მანძილზე გალობდნენ ფსალმუნებს, ლოცულობდნენ, ისმენდნენ მოციქულთა მონათხრობს, და დღის ბოლოს იმართებოდა საზეიმო ტრაპეზი უფლის ქებით აღვსილი ლოცვით.

### **1.1. წმ. პახომი დიდის მოღვაწეობა**

წმ. პახომი დიდი ეგვიპტელი წარმართი ჭაბუკი იყო, რომელიც ქრისტიანად მოინათლა; მან საფუძვლიანად აითვისა ქრისტიანული სწავლებანი, რის შემდეგაც საღვთო სიყვარულით აღჭურვილს ანგელოზმა, ღვთის ბრძანებით, გადასცა ფირფიტა, რომელზეც ჩამოწერილი იყო ის წესები (სულ 29 წესია ჩამოთვლილი), რითაც უნდა ეცხოვრა მას და სხვა მონაზონთა ცხოვრებაც მოეწესრიგებინა, რათა ღვთის შიშით შეესრულებინათ საერთო წესები და მოეპოვებინათ სულის თავისუფლება. იგი ბევრ რამეს ასწავლიდა ძმებს: ლოცვას, მარხვას, წირვას, ზიარებას, ხელსაქმეს და სხვ. ღირსი მამა პახომი ცდუნებასთან საბრძოლველ იარაღად მიიჩნევდა ღვთის შიშს, რომელიც, მისი სიტყვით, „...ასუფთავებს კაცის გულს ყოველგვარი ვნებისაგან და აქცევს მას ღვთის რჩეულ ჭურჭლად“. აღვნიშნავთ, რომ წმ. პახომის მიერ დაწერილი ტიპიკონის გარდა, შემორჩენილია მისი შვიდი

ეპისტოლეც ნეტარი იერონიმეს ლათინური თარგმანით.

## **1.2. ტაბენისელთა მონასტრის საერთო წყობა**

წმ. მამა პახომმა თავისი მოღვაწეობის მანძილზე ცხრა მამათა და ერთი დედათა მონასტერი დააფუძნა. თითოეულ მონასტერში იდგა 30 ან 40 ცალკე სახლი, 12 ან 13 სენაკით, რომელშიც, ანგელოზის ბრძანებისამებრ, სამი ძმა ცხოვრობდა. ეს სურათი უკვე ნათლად მეტყველებს სამონასტრო ცხოვრების უტყუარ დაწყებაზე და, შესაბამისად, მონაზონთა ცხოვრებისათვის საჭირო წესების შემოღებასა და ამოქმედებაზე. აქვეა საუბარი იმის თაობაზე, რომ ყოველ მონასტერს ჰქონდა თავისი ტაძარი, სამლოცველო, სატრაპეზო, საცხოობი, საავადმყოფო, სასტუმრო; სურსათის, ტანსაცმლის, სამუშაო იარაღების, მასალების საწყობები, თავისი მეურნეობა და სხვ.

უკვე არსებულ მონასტრებში იყო ერთი მთავარი ამბა, რომელიც თვითონ არჩევდა ყველა მონასტრის წინამძღვარს; იგი ვალდებული იყო, ეზრუნა, რომ ძმებს ზუსტად დაეცვათ წესები, სულიერი სრულყოფის მიზნით. მონასტრებში წინამძღვრის გარდა იყო მეორე ადამიანი, თანაშემწე, მაგრამ მისი მოვალეობები წესდებაში გაწერილი არ არის. კვლევის შედეგად ჩანს, რომ ამ ადრეულ ეტაპზე მონასტრებში ჰყავდათ ზედამხედველი, მისი თანაშემწე, იკონომოსი და მოლარე, მემსგეფსე, მესნეულე, მესტუმრე, მეკარე, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები იმთავითვე განსაზღვრული ყოფილა.

წესდებაში განხილულია მონასტერში მიღების,

მონაზონთა სამოსის, ღვთისმსახურების, ზიარების, შრომის, კვების, ძილის, შინაგანი სულიერი ცხოვრების, ზნეობრივი, ავადმყოფობისა და საავადმყოფოს, უცხოთა მიღების, მნახველების დაშვებისა და მონასტრიდან გასვლის, ძმათა დამარხვის, ბავშვთა აღზრდის, დედათა მონასტრისა და ეპიტიმის საკითხები; დასახელებულია ასევე ტანსაცმლის სახეობები. ჩამოთვლილთაგან რამდენიმე მათგანზე განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება დისერტაციაში, აღნიშნულია მათი სიმბოლური მნიშვნელობა.

### **1.3. წმ. ბასილი დიდის მოღვაწეობა**

ძალიან მნიშვნელოვანია ბასილი დიდის როლი და მისია სასულიერო მწერლობაში, განსაკუთრებით ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობის თეორიული საფუძვლების შექმნაში, თვალსაჩინოა მისი უდიდესი ღვაწლი ეკლესიის ისტორიაში. ბასილი დიდი საღვთო მეცნიერებებს დაეუფლა ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ ათენში; ეგვიპტის ბიბლიოთეკაში შეისწავლა ღვთისმეტყველება, დაეწაფა უპირველეს მეცნიერებას – ქრისტიანობას, წუთისოფლისაგან განსაშორებლად დააფუძნა მონასტერი და თავად შემოიღო წესები სამოღვაწეოდ. იგი ესაუბრებოდა (აზრს ეკითხებოდა) სხვა ძმებსაც, უფრო მეტი ნათელი რომ მოეფინა წესებისათვის და იწერდა კიდევ.

#### **1.4. წმ. ბასილი დიდის „ასკეტიკონი“, ანუ „სამოღვაწეო წიგნი“ და სხვა ასკეიკური თხზულებანი**

წმ. ბასილიმ, ბერების თხოვნით, დაწერა ზნეობრივი ცხოვრების წესების სახელმძღვანელო – ტიპიკონი / ასკეტიკონი. ასე შეიქმნა მისი შრომები: საღვთო ლიტურგიის ტიპიკონი, მონაზვნური ცხოვრების წესების მეორე კრებული – „ასკეტიკონი“ (სამოღვაწეო წიგნი), „ითიკა“ და სხვ. სადისერტაციო ნაშრომში გადმოცემულია მათი კვლევის ისტორია.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია, რომ პახომი დიდის ტიპიკონი მკაცრია, აქაურ ბერმონაზვნებს უფრო მეტი მოთხოვნები აქვთ, ვიდრე ბასილი დიდის მონასტრებში; ბერები მოწყვეტილნი არიან გარე სამყაროს. ბასილის ტიპიკონის მიხედვით კი შეედლოთ, ურთიერთობა ჰქონოდათ ხალხთან და დახმარებოდნენ მათ; კვლევისა და დაკვირვების შედეგად გამოვლინდა სხვაობა სამონასტრო წესების ფორმაშიც, კერძოდ: პახომისეულ წესდებაში პუნქტებადაა ჩამოწერილი და თანმიმდევრულად განსაზღვრული მონასტრის ყოველი წევრის უფლება-მოვალეობა და საქმიანობა, ბასილის წესდება კი – კითხვა-მიგების, საუბრის ფორმითაა მოცემული და უფრო დახვეწილია, ერთვის პარალელები, ციტატები საღვთო წერილიდან. ყურადღებაა გამახვილებული მოსაზრებაზე, რომლის მიხედვით ბასილი დიდმა თანამოსაგრეებთან თავისი საუბრის ჩაწერა დაიწყო 358 წელს.

## თავი II: არასრულად მოღწეული ქართული ტიპიკონები

ასეთ ტიპიკონებს მიეკუთვნება წმ. გრიგოლ ხანცთელის მიერ თავისი დაარსებული მონასტრებისთვის საგანგებოდ შექმნილი წესდება და წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის ათონის ივერთა მონასტრის ტიპიკონი; ისინი შემორჩენილია არა როგორც სამონასტრო წესდება, არამედ მათი ნაწილი შემონახულია ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლებში; კერძოდ, გიორგი მერჩულის თხზულებაში „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ წმ. გრიგოლის მიერ შედგენილი ტიპიკონის მხოლოდ მცირე ნაწილია დაცული და გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში „იოვანესა და ეფთვმეს ცხოვრება“, რომელშიც ერთ მონაკვეთად ჩართულია ივირონის მონასტრის ტიპიკონი. აღვნიშნავთ, რომ ტიპიკონის ტექსტები, არასრულად მოღწევის მიუხედავად, მაინც ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს და უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული მონასტრების ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესასწავლად.

### 2.1.1. წმ. გრიგოლ ხანცთელის ტიპიკონი

არსებობდა თუ არა ხანცთის წესდებამდე ქართულენოვანი ტიპიკონი, ორიგინალური ან ნათარგმნი, თუ არსებობდა, სამონასტრო ცხოვრების როგორი წესი შეიძლებოდა ყოფილიყო, ძნელი სათქმელია მათი მოუღწევლობის გამო, მაგრამ „გრიგოლ ხანცთელის

ცხოვრება“ მაინც გვიქმნის წარმოდგენას ამის შესახებაც, რადგან თხზულებაში ვკითხულობთ: წმ. გრიგოლი და მისი მეგობრები ოპიზაში ცხოვრობდნენ „...ღუაწლითა ფიცხლითა მონაზონებისა შრომისადათა, ვითარცა იყო წესი მის ჟამისა მონაზონთადა“ (ძეგლები, 1963: 253); ჩვენი აზრით, აქ ნახსენები „წესი“ გულისხმობს იმ დროისათვის უკვე არსებული წესდების ტექსტს და, ჩვენი ვარაუდით, ეს „იერუსალიმური კანონარი“ ან მსგავსი ნაშრომი შეიძლება ყოფილიყო, რაც უძველეს ტიპიკონად ან ტიპიკონისწინა დოკუმენტად უნდა მივიჩნიოთ.

წმ. გრიგოლმა, როგორც ტექსტიდან ვიცით, თავის მონასტერს დაუწესა „წესი საღმრთოდ ბრძენთაგან განუკითხველი“, რისთვისაც მოიარა კონსტანტინოპოლი, თავის მეგობარს კი იერუსალიმიდან ჩამოატანინა საბაწმიდის განგება და ამ წესების გაანალიზების საფუძველზე თვითონ შექმნა სიბრძნით განსაზღვრებული წესი თავისსავე დაარსებულ მონასტრებში. წმ. გრიგოლ ხანცთელის „ფიცხელ მონაზონებაში“ ივარაუდება საკმაოდ მკაცრი წესები, შეიძლება ითქვას, უმკაცრესიც. ტიპიკონით განსაზღვრული იყო იერარქიის, უფროს-უმცროსობის საკითხიც და ამას ყველა განუხრელად ემორჩილებოდა. კ. კველიძის კვლევაზე დაყრდნობით, ვვარაუდობთ, რომ ეს კანონი საქართველოში გამოყენებული იქნებოდა X საუკუნის ჩათვლით, ვიდრე ითარგმნებოდა მცირე და დიდი სვინაქსრები და ბასილი დიდის „ასკეტიკონი“.

## 2.1.2. ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან გიორგი მერჩულის თხზულებათა მიხედვით

სასულიერო პირებისათვის მნიშვნელოვანი იყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი, რაც ტიპიკონებშიც არის ასახული და ამის რამდენიმე მაგალითიც შეიძლება დავიმოწმოთ ტექსტიდან. იმასაც შევნიშნავთ, რომ სასულიეროთა ღვაწლი საერო ხელისუფალთა ძლიერებაზე მეტად აღიქმებოდა.

### 2.2.1. ათონის ივერონის მონასტრის ტიპიკონი

ათონის ქართველთა მონასტერი აშენდა 980–83 წწ. იოვანე და თორნიკე მთაწმიდელების ღვაწლითა და შეწირულობით. ივერონის წესი და განგება წმ. ეფთჳმემ შექმნა. ამდენად, საფუძველი ეყრება ლიტურგიკულ ღვთისმსახურებას ათონზე. ღვთისმსახურება მიმდინარეობდა „დიდი სჳნაქსარის“ მიხედვით, ხოლო ყოფითი დაწვრილებით არის გაწერილი ტიპიკონში. მამა ეფთჳმეს დადგენილ მკაცრ წესებში შედიოდა: ლოცვის, შრომის, სულიერ–ზნეობრივი, ტრაპეზზე მოქცევის, ყოფა-ცხოვრების, მონასტერში მიღების, უწვერულ ყრმათა მონასტერში არდაშვების, წესის დამრღვევთა და ურჩთა დასჯის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ლოცვის წესიერად აღსრულებას, ლოცვის არგაცდენას, რასაც აკონტროლებდნენ ეპიტრიტისები; სასჯელი დადგენილი იყო სამონასტრო ცხოვრების განგებით განსაზღვრული

თითქმის ყველა წესის დარღვევის შემთხვევაში, თუმცა ნუგეშისცემაც იყო, დამრღვევთა ზნეობრივი ღირსების შენარჩუნებისათვის, რაშიც გარკვეული მზრუნველობაც ჩანს წესის დამრღვევთა სულიერი არსებობის კვლავ განახლებისა და გაგრძელებისათვის; მსჯელობაა იქ არსებულ იერარქიაზეც, ჩამოთვლილია თანამდებობები და აღნიშნულია თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობები. იერარქიულ წყობაში გამოკვეთილია: წინამძღვარი, ეპიტირიტისი, მღვდელი, იკონომოსი, მეკარე მონასტრისა, ეპისტატი, კელარი... ასევე, დასახელებულია ის ისტორიული პირები, რომლებიც უშუალოდ „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ ტიპიკონის ტექსტის მიხედვით ჩანან, თუმცა თხზულებაში გაცილებით უფრო მეტიც დასტურდება. ამ კუთხით გიორგი მთაწმიდელის თხზულება მნიშვნელოვანი წყაროა იმდროინდელ მოღვაწეთა ვინაობის გასაცნობად, რასაც განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშვნა სჭირდებოდა.

### **2.2.2. ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან „იოვანე და ეფთვიმე მთაწმინდელების ცხოვრების“ მიხედვით**

წმ. იოვანე მთაწმინდელმა წინამძღვრობა თავის ძეს, სიბრძნით გამორჩეულ ეფთვიმეს, ჩააბარა, ხოლო მონასტრის განმგებლად და ეპიტროპად თვითმპყრობელი მეფენი განაწესა, რაც იმას მოწმობს, რომ საეროთა მისიაც ძალიან დიდი იყო, რაც არ გამორჩენია წმ. იოვანეს; ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ თვით სასულიერონიც ვერ წყდებოდნენ წუთისოფელს და ერთიან სივრცეში მოიაზრებდნენ სასულიერო და საერო



საქმეებს, რითაც სამყაროს ერთმთლიანობა იკვეთება.

თავის ბოლოს ჩამოყალიბებულია დასკვნა, რომ ნაწილობრივ, არასრულად მოღწეული ტიპიკონები, სახელდობრ, წმ. გრიგოლ ხანცთელისა და წმ. ეფთჳმე მთაწმინდელისა, ობიექტურად ასახავენ ტიპიკონებით დადგენილი წესების აღსრულების აუცილებლობას, ისტორიულ სინამდვილეს, სახელოვან წინაპართა შრომასა და ბრძოლას ერისა და ეკლესიისათვის, მათ წვლილს ევროპულ კულტურასა და ისტორიაში.

### **თავი III: სრულად მოღწეული ქართული ქტიტორული ტიპიკონები**

სრული სახით შემორჩენილია სამი ტიპიკონი: პეტრიწონის მონასტრისა – გრიგოლ ბაკურიანის ძისა, ქართულ და ბერძნულ ენებზე, 1084 წ.; შიომღვიმის მონასტრისა – 1123 წლის ახლოს; ვაჰანის ქვაბთა – 1214-27, ზოგიერთი მკვლევრის თვალსაზრისით, 1225-30 წწ.

#### **3.1.1. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი**

ბიზანტიის დიდმა დომესტიკოსმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააარსა პეტრიწონის სამონასტრო კომპლექსი – ტაძრები, სამეურნეო ნაგებობები, საძვალე, აკლდამა, სადაც დღემდეა შემორჩენილი მხატვრობა და ფრესკები. პეტრიწონის სიძველეთაგან განსაკუთრებით

ღირებულია ტიპიკონი, რომელიც მონასტრის ძმობას თავად ქტიტორმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეუდგინა კონსტანტინოპოლის წმინდა პანაგის მონასტრის წესდების მიხედვით, რომლის მონაზონთა მოსაგრეობა და ცხოვრების წესი სამაგალითოდ მიაჩნდა და საკუთარი ხელმოწერით დაუმტკიცა 1084 წლის დეკემბერში.

ტიპიკონში გრიგოლი საუბრობს თავისი ოჯახური მდგომარეობის, განვლილი ცხოვრების, მონასტრის დაარსების შესახებ.

მოკლედ არის ჩამოთვლილი ქართველ და უცხოელ მკვლევართა (ნ. მარი, შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, დ. ლასკოვი და სხვ.) ნაშრომები აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

### **3.1.2. ტიპიკონის ხელნაწერები და გამოცემები**

პეტრიწონის ტიპიკონის ქართულ-ბერძნული ტექსტები მეცნიერულ დონეზეა გამოცემული და სათანადო მეცნიერული გამოკვლევებიც ახლავს. აღვნიშნავთ, რომ ტიპიკონი თარგმნილია რუსულად, ფრანგულად, ინგლისურად. საუბარია ა. შანიძის, ნ. ბერძენიშვილის, ო. გიგინეიშვილის ექსპედიციის შესახებ, რომელიც მოეწყო ბულგარეთში პეტრიწონის მონასტრის სიძველეთა მოძიება-შესწავლის მიზნით 1949 წელს.

### 3.1.3. ქართული და ბერძნული ტიპიკონების შედარებითი ტექსტოლოგიური დახასიათება

ქართულ ტექსტში არის 37 თავი, ბერძნულში – 36 და თავების მუხლობრივი შედარებით გამოვლინდა რედაქციული სხვაობები მათ შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. შანიძის კვლევა – მან საბოლოოდ დაადგინა, რომ პასაჟი ტიპიკონის სომხურად დაწერისა და გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ სომხურად ხელმოწერის შესახებ შემდეგ პერიოდშია ჩამატებული და ამ საკითხზე დავა უნდა დასრულდეს.

ტიპიკონი მოიცავს შემდეგ საკითხებს: „იმის შესახებ, თუ როგორ აღიშენა წმინდა ესე მონასტერი იბერთა“; „შესახებ საჩუქრებისა და შესაწირავთა, რაც შეეწირეთ ჩვენ წმიდა ეკლესიას, რომელზედაც გვაქვს საუბარი“ – ეს თავი გვაწვდის ძალიან საყურადღებო ცნობებს მონასტრის აშენების, ქტიტორისა და მისი ცხოვრების შესახებ, ასევე, ეტიმოლოგიისა და გეოგრაფიის შესასწავლად... განსაკუთრებით საინტერესოა იმ ხატების ჩამონათვალი, რომლებიც გრიგოლ ბაკურიანის ძემ შესწირა: „ქრისტე მაცხოვრის და ყველა წმიდანის გამოსახულებანი... და კიდევ სახარებები, როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ენებზე“; „შესახებ იმისა, რომ ჩვენ მიერ აგებული მონასტერი თავისუფალია ყოველგვარი გადასახადისაგან“; „შესახებ ერთობით ცხოვრებისა, ესე იგი საზოგადოებრივად რომ იცხოვრონ და ყველა ძმას აკრძალოს საკუთარ სენაკში განცალკევებით იზრუნოს ცხოვრებაზე“ – კერძოობით საქმე დიდ ვნებად მიიჩ-

ნეოდა; „შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს არჩეული წინამძღვარი და დამტკიცებელი, და პირველი წინამძღვრის შემდეგ როგორ უნდა მოიწვიონ მონასტრის ამ სამსახურში და ამ თანამდებობაზე მეორე“ – ამ საკითხში ვლინდება მცირეოდენი სხვაობა ბერძნულ და ქართულ ტექსტებს შორის.

განსაკუთრებით აღნიშნულია ტიპიკონში, რომ მონასტერში ყოველთვის 50 მონაზონი უნდა იყოს და ეს რიცხვი არასოდეს არ უნდა შემცირდეს. მათგან უნდა გამოირჩიონ წინამძღვარი, იკონომოსი, მღვდელი, დეკანოზი, დიაკონი, მეჭურჭლე, მნათე, კელარი, მწდე, მემარნე, მეტრაპეზე, მესტუმრე, მოხუცთა და სხეულთა მომვლელი, ზედამხედველი-იპიტირიტი. საინტერესოა საკითხი „ჟამისმწირველთა შესახებ, თუ როგორ უნდა იქნენ ისინი არჩეული, ან როგორ უნდა შეასრულონ ღვთიური მღვდელმსახურება“ – რომ, უპირველესად, ისინი ღვთის მოშიშნი უნდა ყოფილიყვნენ. ყველაზე დიდი მოთხოვნები მოძღვრის მიმართ არსებობდა; მოცემულია აგრეთვე ტრაპეზის შემზადების, მსახურთა თავმდაბლობისა და ღუმილის, ძმათა სამოსლისა და მისი ფასის, მისი განაწილების წესები. მონასტრის ძმობა სამ დასად იყო დაყოფილი და ყველა ამის მიხედვით იღებდა გასამრჯელოს. მნიშვნელოვანია აგრეთვე საკითხები: შესახებ „სამი წმინდა მარხვისა და ამ მარხვათა წმინდად შენახვისა და ყოველდღე წყალობის ქმნისა ყველა გლახაკთა მიმართ“; „შესახებ ჩვენი წმინდა ეკლესიის დღესასწაულისა, და დანარჩენი სახელგანთქმული ღირსშესანიშნავი დღესასწაულებისა და რჩეული

წმინდანებისა, თუ როგორ ვიდღესასწაულოთ ბრწყინვალედ“; „შესახებ ჩვენი წმინდა ეკლესიების განათებისა... და შესახებ ლოცვისა, რომ საჭიროა გულდადებით ლოცვა“; გრიგოლ ბაკურიანის ძე მოითხოვს, განსაკუთრებულად აღინიშნოს ტაძრის დღე, ღვთისმშობლის მიძინება, გაიმართოს დღესასწაული – გალობა-ფსალმუნითა და კმევით, მდიდრული ტრაპეზი დაეგოს.

ძმები ვალდებულნი იყვნენ, ყველაფერი ეთქვათ წინამძღვრისათვის, გაემხილათ თვით უმნიშვნელო განზრახვაც კი. მიღებული იყო ფსალმუნება შრომის დროს. ძმებს უფლება არ ჰქონდათ, წინამძღვრის ნებართვის გარეშე დაეტოვებინათ მონასტერი. დაწესებული იყო განსაკუთრებული ზრუნვა გარდაცვალებული ძმების სულისთვის.

დიდი ყურადღება ექცეოდა სასულიერო პირთა მომზადებას, არსებობდა სპეციალური სკოლა–სემინარია. ასევე ჩამოთვლილია მიწები, მამულები, ხატები, ჯვრები, სამღვდელო შესამოსელი, სიწმინდის სამსახურებელი იარაღები, რომლებიც გრიგოლ ბაკურიანის ძემ შესწირა მონასტერს. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პეტრიწონის ქონება და მამულები თავისუფალია ყოველგვარი – საერო და სასულიერო გადასახადისგან.

### **3.2. შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონი**

შიომღვიმის მონასტერი დააარსა ერთ–ერთმა ასურელმა მამამ, წმ. შიომ და მის შემდეგ აქ აქტიური სამონასტრო ცხოვრება დუღდა. განსაკუთრებით დაწი-

ნაურდა მონასტერი მეთორმეტე საუკუნეში, როცა აქ დავით მეოთხემ ააშენა ღვთისმშობლის დიდი ტაძარი, შესწირა მამულები და დაუწესა ტიპიკონი, რომელიც მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და საყურადღებო დოკუმენტია. ეს არის პალესტინის საბა განწმედის მონატრის ტიპიკონის სვიმეონწმიდური (ანტიოქია, შავი მთა) რედაქცია, რომელიც დიდმა ქართველმა მოღვაწემ არსენ იყალთოელმა თარგმნა და შემდეგ გავრცელდა მთელ საქართველოში, მაგრამ მთლიანად ვერ განდევნა მანამდე არსებული გიორგი მთაწმიდელის „დიდი სჯნაქსარი“ (XIV-XV საუკუნემდე კიდევ გამოიყენებოდა), რისი კვალი განსახილველ ტექსტში იძებნება. შიომღვიმის ტიპიკონის დედანი არ შემორჩენილა. დღემდე მოღწეული ტექსტის შემცველი ხელნაწერები XIII-XVIII საუკუნეებისაა, უძველესი, ე.წ. „შიომღვიმის ტიპიკონი“ და უამრავი ფრაგმენტი XIII საუკუნის შუახანებისაა. ამჟამად ეს მნიშვნელოვანი ძეგლი ჩვენი ღვთისმსახურებისა და სიტყვიერებისა გამოცემულია; მასში აღნიშნულია, რომ ყველა ეს ხელნაწერი ერთნაირი შედგენილობისა და ხასიათისაა, მაგრამ ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდება მკვეთრად გამოხატული რედაქციული თავისებურებებით, რომლებიც საკმაოდ ხშირად იჩენს თავს. ეს ტიპიკონიძალზე ღირებულია იმ კუთხით, რომ მასში შეტანილია მდიდარი ტიპიკონური მასალა და ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული თხზულებები, კერძოდ:

განგებად ღამისთევისაჲ (13-18); განსაზღვრებად ღამისთევათა ყოვლისა წელიწდისათაჲ (18); მოთხრობად შემოკლებული საეკლესიოჲსა განწესებისაჲ მონასტერთა იერუსალიმისათაჲ (19-26); სჯნაქსარი ათორმეტთა

თუეთა წელიწდისათაჲ, რომელი დაიწყების სეკ-  
დენბერით თვთ ვიდრე და დასასრულამდე აგვსტოსისა  
(27- 98); განგებაჲ წმიდათა და დიდთა მარხვათაჲ,  
ვნების კვირისა და ზატყვის განგების ჩათვლით (99-135);  
განგებაჲ შაბათთა ყოვლისა წელიწდისათაჲ, რომელთა  
შინა იყოს საკსენებელი საჩინოსა წმიდისაჲ და  
იგალობებოდის ღმერთი უფალი (136-138); თანამდები  
ღმრთისა მიმართ წლითი-წლადი მადლობაჲ, რომელსა  
დღესა მიიღო ეკლესიამან ღმრთისამან გამოსაჩინებელი  
კეთილმსახურებისა შჯულთაჲ და დაქცევაჲ სიბო-  
როტისა ბოროტად მსახურებათაჲ (139-144); გამოავ-  
ლინენი თუეთანი სრულიად (145-154); გამოავლინენი  
ათერთმეტთა აღდგომისა საცისკროთა სახარებათანი  
(154-156); გამოავლინენი ყოველთა წმიდათანი, ვისთვსცა  
გინდენ (156-157); გამოავლინენი მარხვათანი (158-161);  
კონდაკნი და ჯკოსნი (162-176); ღამისთევასა შემდგომად  
ნეტარ-არიანთასა, ჯმაჲ და გუერდი (177); კუერექსი  
სავედრებელი (178); ყველიერისა ხუთშაბათსა კსენებაჲ  
საკვრველმოქმედისა წმიდისა მამისა შიოდსი (179-180);  
იანვარსა იდ წმიდისა მოციქულისა ნინოდსი (181-188);  
საგალობელნი ღირსისა მამისა შიოდსი (189-191);  
დიდებასა ზედა უფალო ღაღატყავსა და სტიქარონთა  
ზედა, ვიეთთვსცა გიჯმდეს მამათათვს (192); საჭ-  
მელთათვს და სასუმელთა და ვითარობისა და  
რაოდენობისა და სატრაპეზოდსა წესიერებისა (193-197);  
ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისათვის (198-  
201). წიგნს ერთვის ლექსიკონი და ღირსი მამა შიო  
მღვიმელის ცხოვრების ყველა რედაქცია, „თხრობა  
სასწაულთათვს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა

შიოდსთა და განგებაჲ ღირსისა მამისა შიოდსი“. ტექსტი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მასში შეტანილია წლის თითოეული დღისთვის დაწესებული მსახურება.

ტიპიკონიდან ჩანს, რომ იმ დროს ქართველი მონაზვნები კარგად იცნობდნენ მახლობელი აღმოსავლეთისა და საბერძნეთის საღვთისმსახურო პრაქტიკასა და ლიტურგიკულ ლიტერატურას. მართალია, ცხოვრობდნენ სვიმეონწმიდის მონასტრის წეს-განგებით, მაგრამ ამასთან, ითვალისწინებდნენ გიორგი მთაწმიდელის დიდი სჯნაქსარის, სტუდიელთა (კონსტანტინოპოლის) და იერუსალიმის მონასტრის განგებას, რაც ტექსტში ჩართული რემარკებითა და აშიაზე მინაწერებით დასტურდება.

ჩანს, აგრეთვე, რომ შიომღვიმის მამებს, საერთო ლოცვის გარდა, ჰქონდათ პირადი სასენაკო კანონები, რაც საკმაოდ მკაცრი იყო, განსაკუთრებით დიდ, აღდგომისწინა მარხვაში.

### **3.3. ვაჰანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონი**

ვაჰანის (XIV ს.–დან ვანის) ქვაბები (ასპინძის რაიონი) არის კლდეში გამოკვეთილი 16 იარუსად განლაგებული 200-მდე გამოქვაბული. ამ სამონასტრო კომპლექსში შედის კლდეში გამოკვეთილი სადგომები, სამეურნეო სათავსები, თავდაცვითი ნაგებობები, წყალსადენის ნაშთები, სავალი გვირაბები, სამარხები, 6 ეკლესია, მათ შორის წმ. გიორგის ულამაზესი გუმბათიანი ტაძარი. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა აქ შემორჩენილი სამშენებლო და სხვა წარწერები და ფრესკის ნაშთები.



გამოქვაბული და სულიერი ცხოვრება აქ პირველად VII–IX საუკუნეებიდან უნდა გაჩენილიყო. IX–XI საუკუნეებში მონასტერი გაუფართოვებიათ, გამოუკვეთავთ წმ. გიორგის ეკლესია და ახალი სენაკები. ახალმა მფლობელმა, მხარგრძელმა, სარგისის ძემ, მონასტერს შესწირა დიდი ქონება, მამულები და დაუწერა ტიპიკონი, „ვაჰანის ქვაბთა განგება“, რომლის მიხედვითაც იქ მოსაგრე ბერებს უნდა ეცხოვრათ.

საქართველოში არსებულ მონასტერთა ტიპიკონებიდან შემორჩენილია მხოლოდ შიომღვიმის მონასტრისა, სრული სახით, და ვაჰანის ქვაბთა, მაგრამ ეს უკანასკნელი ძალიან დაზიანებულია. განსაკუთრებით გამოვყოფთ ტექსტის დათარიღების საკითხს:

მკვლევართა (ტალახაძე, სილოგავა) ნაშრომებზე დაყრდნობით უკვე დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ რახან დადგენილია ქართლის კათოლიკოსი გიორგის პატრიარქობის წლები, რომელიც ამტკიცებს ტიპიკონის ტექსტს, შეიძლება უკვე დაზუსტებით ითქვას, რომ „ძეგლი ვაჰანის ქვაბთა“ შეიქმნა 1225–30 წლებს შორის. მონასტრის დამფუძნებლის, მხარგრძელის ოჯახის წევრების ვინაობის დადგენა–გამოკვლევის საფუძველზე, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ტიპიკონის ტექსტში, ძეგლის პირველი გამომცემელი თ. ჟორდანიას ასკვნიდა, რომ იგი დაწერილია 1212–1227 წლებში. ლ. მუსხელიშვილი, რომელიც მუშაობდა ამ ტექსტზე და 1939 წლს გამოსცა კიდეც, 1204–34 წლებით ათარიღებდა. ამ აზრს იზიარებს ი. დოლიძეც.

ვაჰანის წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის წესგანგება წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს,

რომელმაც ჩვენამდე მეტ-ნაკლები სისრულით მოაღწია. მასში გადმოცემულია მონასტრის მოწყობის, მის წევრთა ჩაცმა-დახურვის საკითხები, ძმათა უფლება-მოვალეობანი, ლოცვის, ტრაპეზის წესები. ტექსტიდან ჩანს, რომ, როგორც ყველა მონასტერში, დიდი ყურადღება ექცეოდა, მონასტრის წინამძღვრისადმი მორჩილებას, წესების დაცვა ყველასთვის სავალდებულო იყო, არ შეიძლებოდა თვითნებურად მონასტრის დატოვება, დედაკაცისა და უწვეურულ ყრმათა შეყვანა მონასტერში. საინტერესოა ისიც, რომ მონასტრის ძმები სამ დასად იყვნენ დაყოფილი. აღნიშნულია ვანის ქვაბებთან დაკავშირებული რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი და ტაძრის კედლის წარწერები.

ვანის ქვაბების შესახებ საინტერესო გამოკვლევა აქვს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ მერაბ ბერიძეს. წიგნში „ტაძრები და სახელები“ იგი ვრცლად მიმოიხილავს ვანის ეტიმოლოგიას, მისი გავრცელების გეოგრაფიულ არეალს, ამ სიტყვის სხვადასხვა ფორმას, რაც გვხვდება ქართულ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში.

ვაჰანის ქვაბთა სამონასტრო კომპლექსი საყურადღებოა იმიტაც, რომ იქ ბევრი მნიშვნელოვანი წარწერა მოიპოვება. ვანის ქვაბთა მამათა მონასტერი XIV საუკუნის ბოლოს დედათა ე.წ. სამყოფელი (ან – თავშესაფარი) გახდა. ჯვრის ტიპის პატარა გუმბათიანი ეკლესიის კედლებზე მოთავსებულია მისი ბინადარი ქალების მიერ შესრულებული დაახლოებით 50-მდე მხედრული წარწერა, სავარაუდოდ, XV საუკუნის მეორე ნახევრისა. მათ შორის ყველაზე საყურადღებოა წარწერაში

ჩართული „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტი, ორი, 1300–1301-ე სტროფი, ქაჯთა ტყვეობაში მყოფი ნესტანის წერილიდან: „ციხეს ვზი ეზო მაღალსა, თუალნი ძლივ შემომაცდება“...

ვაჰანის ქვაბთა ეკლესიის კედლებზე კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი წარწერა და ლექსია შემონახული. ამ თემაზე მუშაობდნენ კ. კეკელიძე, ვ. ცისკარიშვილი, შ. ონიანი, ნ. სულავა.

#### **თავი IV: ქართულ ტიპიკონთა საერთო მახასიათებლები**

წარმოდგენილია ტიპიკონების შედარებითი ანალიზი და კვლევის შედეგად გამოკვეთილია ტიპიკონთა საერთო მახასიათებლები, რაც შედგება ხუთი ქვეთავისაგან: 4.1.სამოხელეო ტერმინები ტიპიკონებში; 4.2. წირვა-ლოცვის დროს სიწმინდის სამსახურებელი ნივთები („იარაღები“); 4.3. ქალების, უწვერული ყრმებისა და ბერძენთა მონასტერში არ დაშვებისათვის; 4.4. ტანსაცმელი/სამოსი; 4.5. ზომა-წონისა და ფულის ერთეულები, ძვირფასი თვლები. კვლევის შედეგად გამოვლინდა ზოგადი სურათი.

განხილული ტიპიკონებიდან შიომღვიმის ტიპიკონში განსაკუთრებით ვრცელია საღვთისმსახურო ნაწილი, მცირე-დისციპლინური. დაწვრილებით არის განხილული წლის ყოველი დღის მსახურება: ჟამნების, ცისკრის, სერობის, მწუხრის, ლიტურგიის საკითხავ-საგალობლები, მსგავსება-განსხვავებანი სხვა ეკლესიების ტიპიკონებთან და სხვ. დანარჩენი სამი მხოლოდ

დისციპლინურ ნაწილს შეიცავს. პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა განგებაში გვაქვს განსხვავება – მათში მონასტრის ძმები დასებად არიან დაყოფილნი. განხილულ ტიპიკონებში მონასტრის იერარქიული წყობა ერთნაირია და სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო – მართლმადიდებლურ ეკლესიაში მკაცრად არის დადგენილი მისი თითოეული წევრის უფლება-მოვალეობა დიდიდან პატარამდე, მით უფრო – მონასტრებში.

### კვლევის შედეგად მიღებულია საბოლოო დასკვნები:

- ჩვენამდე მოღწეული ტიპიკონები – 2 არასრული და 3 სრული – გვაცნობენ ბერ-მონაზონთა ცხოვრების წესს, ამასთანავე თითოეული მათგანი ძვირფასი წყაროა ისტორიული, ლიტერატურული, ენობრივი და მრავალი სხვა თვალსაზრისით.

- შეიძლება ითქვას, რომ სამონასტრო ცხოვრება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად შემოდების შემდეგ მალევე უნდა დამკვიდრებულიყო. ქართველი მონაზვნები კარგად იცნობდნენ თავიანთი თანადროული უცხოური ქვეყნების სამონასტრო ცხოვრებას, საღვთისმსახურო პრაქტიკასა და ლიტურგიკულ ლიტერატურას.

- ქართველი მონაზვნები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ზრუნავდნენ, რომ თავიანთ ქვეყანას ლოცვით შესწეოდნენ და მისი პოლიტიკური, ზნეობრივი, კულტურული განვითარებისათვის შეეწყოთ ხელი.

- ტიპიკონები გვაჩვენებს, რომ მკაცრი იყო იმდროინდელი სამონასტრო ცხოვრების წესები, მაგრამ მონასტრის მესვეურები ზრუნავდნენ ბერ-მონაზონთა ჯანმრთელობის დასაცავად, რომ მათ არ მოჰკლებოდათ არაფერი აუცილებელი, მათი ურთიერთობა უფალთან და საკუთარ თავთან ჰარმონიული ყოფილიყო.

- მონასტერში მთავარი წირვა–ლოცვა და ღმრთი-სადმი ვედრებაა, მაგრამ დიდი ყურადღება ექცეოდა შრომას. მეტიც, ვისაც ბევრი საქმე ჰქონდა და ძალიან იღლებოდა, მათ შრომა ლოცვად ეთვლებოდათ.

მონასტრებს დიდი მეურნეობა ჰქონდათ, იქ მრავალი სხვადასხვა ხელობის ადამიანი იყო საჭირო, ყველას უფლება–მოვალეობა და მორჩილებები მკაცრად იყო განაწილებული და დროზე და წესისამებრ სრულდებოდა.

ჩანს, აგრეთვე, რომ ადამიანური სისუსტეებიც არ იყო უცხო მონასტრის წევრებისათვის, საჭირო ხდებოდა მათი წვრთნა, რასაც დიდი სიფრთხილით აკეთებდნენ, რომ სასჯელი სულისათვის მარგებელი ყოფილიყო.

- ჩვენს საკვლევ ტიპიკონებში სასულიერო პირებისათვის უმთავრესია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი, რაც ყველაზე მკვეთრად და კატეგორიულად არის გამოთქმული „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“: „სარწმუნონი და ჭემმარტიჩი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან“ (ძეგლები, 1963: 269), მაგრამ მაინც უწევდნენ ანგარიშს ძლიერთა ამა ქვეყნისათა; ისინიც ყველანაირად მხარში ედგნენ და ეხმარებოდნენ „ხორციელად“.

- საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ეკლესია–მონასტრები ზრუნავდნენ ღვთისმსახურებისათვის

სასულიერო პირების მოსამზადებლად. ათონზე მათ გამოცდილ მოძღვარს მიაბარებდნენ სადმე შორეულ სოფელში, პეტრიწონში კი არსებობდა სპეციალური სკოლა, რომელშიც მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობა არ უნდა შემცირებულიყო. ბერ-მონაზონთა ცხოვრების ყველა წუთი გაწერილია, მათი მთავარი საქმე ღვთის დიდება, ლოცვა და შრომაა.

- ადამიანები ქრისტიანობის გავრცელების დროიდანვე ესწრაფვოდნენ ღმერთთან სრულ ერთიანობას და ამისთვის ტოვებდნენ სოფელს. ცალ-ცალკე ან ჯგუფად გადიოდნენ უდაბნოში, მაგრამ მხოლოდ ანტონი დიდისა და ღირსი პახომის სახელს უკავშირდება მათი გაერთიანება და სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრება. ამასთან, ანტონის მონასტრები არის ლავრის ტიპისა, ანუ თითოეული განდევილი ცხოვრობს ცალკე, თავისი შრომით ირჩენს თავს და საერთო ექვარისტიანე შეკრების უფლება მხოლოდ შაბათ-კვირას ეძლევათ; ამ დროს მსჯელობენ სხვადასხვა საკითხზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, პახომისა კი – ზოგადცხოვრებულთა ანუ კვინობიტური (κείνος βίος – ერთად ცხოვრება), რადგან მონაზვნები ერთ სივრცეში ცხოვრობენ და ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს.

- ანტონი დიდისა და ბასილი დიდის მოღვაწეობის შესწავლის შედეგად ჩანს, რომ მცირე აზიასა და პალესტინაში კვინობიზმი (ზოგადცხოვრებულთა მონასტერი) წარმოადგენდა სამონასტრო ცხოვრების ყველაზე სრულყოფილ ფორმას, რომელშიც ლოცვასა და შრომასთან ერთად მთავარი და მნიშვნელოვანი ძველი და ახალი აღთქმის ერთ-ერთი მცნებისა და უპირველესი ქრისტიანული სათნოების – მოყვასის სიყვარულის

საქმით აღსრულება იყო. ასევე ყველგან მნიშვნელოვანია სიყვარული და ერთიანობა ძმათა, მორჩილება ღვთისა და წინამძღვრისა.

- ჩვენ მიერ განხილულ ტიპიკონებში მონასტრის იერარქიული წყობა ერთნაირია და სხვანაირად არც შეიძლებაოდა ყოფილიყო – მართლმადიდებლურ ეკლესიაში მკაცრად არის დადგენილი მისი თითოეული წევრის უფლება–მოვალეობა დიდიდან პატარამდე, მით უფრო – მონასტრებში.

- უცხოთა გამასპინძლება, სნეულთა მიხედვა და მიცვალებულთა გაპატიოსნება ყველა ქრისტიანის ვალია, მით უფრო მონასტრისა – ჩვენ მიერ განხილულ ტიპიკონებში ეს წესები კანონის დონეზე სავალდებულო იყო და დიდი გულმოდგინებით სრულდებოდა.

- აუცილებელია აღინიშნოს, რომ წინამძღვარი, მამაჲ, მოუკლებელი ლოცვით, მარხვით, შრომით ყველგან, ყოველთვის, ყველაფრით, ყველასთვის მისაზადი და გამორჩეული უნდა ყოფილიყო – მას ყველაზე მეტი მოეთხოვება – და ეს ასეა ყველა ტიპიკონში, ანტონი დიდითა და ღირსი პახომით დაწყებული.

ასევე, წმ. პახომის დროიდან მოყოლებული, ყველა ტიპიკონშია აღნიშნული, რომ წინამძღვარი თვითონ გამოარჩევს თავის შემდგომს და ძმათა თანხმობით მას გადააბარებს უფლებამოსილებას; ამასთან, ქტიტორულ მონასტრებში პირველ წინამძღვარს მაშენებელი ნიშნავდა. ყველგან დიდი ყურადღება ექცეოდა ტიპიკონის განუხრელ დაცვას, როგორც ქრისტიანულ სათნოებათა მიღწევის საფუძველს.



- სამწუხაროდ, შეუძლებელია, დაზუსტებით ვთქვათ, IX საუკუნემდე როგორი იყო ქართული მონასტრის ტიპიკონი, ნაწილობრივ ამაზე წარმოდგენას გვიქმნის ძველქართული არქიერატიკონი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასურელ მამებს, რომლებმაც დააარსეს მონასტრები საქართველოში, აუცილებლად ექნებოდათ გარკვეული სახელმძღვანელო წესი. ვიცით მხოლოდ, რომ VIII საუკუნემდე ქართული ეკლესია იერუსალიმურ, ქრისტეს საფლავის ტრადიციას მიჰყვებოდა, სავარაუდოდ, ძველქართული არქიერატიკონის მიხედვით, რაც ტიპიკონისწინა დოკუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ. გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ მამა გრიგოლმა თავად მოიარა საბერძნეთის საჩინო ადგილები, ხოლო იერუსალიმში მიმავალ მეგობარს „დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერაჲ და წარმოცემად“ (ძეგლები, 1963: 264). ამ ცნობის სიზუსტეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მამა გრიგოლმა შეუჯერა იერუსალიმიდან მიღებული საბაწმიდის ტიპიკონი თავის მიერ საბერძნეთიდან ჩამოტანილებს, ყველაფერი ეს მოარგო ქართულ სინამდვილეს და ხანცთას დაუდგინა „წესი საღმრთოჲ, ბრძენთაგან განუკითხველი“, რომელიც „ფიცხელ იყო ფრიად“, – როგორც აღნიშნავს მისი ცხოვრების ავტორი.

- ჩვენ მიერ განხილული ტექსტებიდან ვგებულობთ, რომ ქართველი ბერ-მონაზვნები კარგად იცნობდნენ თანამედროვე ქრისტიანული სამყაროს მიღწევებს და ხელი მიუწვდებოდათ უკანასკნელ სიახლეებზე, იცოდნენ ბერძნული და არაბული ენები. გარდა ამისა, დიდი მამები ზრუნავდნენ არა მხოლოდ სასულიერო პირთა, მთელი ერის განათლებისთვისაც. ამის თქმის



საშუალებას გვაძლევს იოვანე ათონელი, რომელმაც დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა დაუსახა თავის ვაჟს, მომავალ დიდ მთარგმნელს, ეფთჳმეს და მას გადააბარა ივირონის ხელმძღვანელობა. მამა ეფთჳმემაც თავისი შეხედულებისამებრ დაუდო წესი და განგება ათონის ივერიელთა მონასტერს: საღვთისმსახურო, „ვითარცა წერილ არს დიდსა სჯნაქსარსა“, ხოლო ყოფითი – სტოდიელთა მონასტრის წესების მიხედვით, რომელშიც შეიტანა ათონური სამონასტრო ცხოვრებით მიღებული გამოცდილების ელემენტები, რაც ნაწილობრივ შემონახულია გიორგი მთაწმიდელის „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“, რომელიც შემდეგ გავრცელდა სხვა ქართულ ეკლესია–მონასტრებში.

- რაც შეეხება ქტიტორული მონასტრების სრულად მოღწეულ ტიპიკონებს: შეიძლება განვაცხადოთ, რომ მათ წეს–განგებას მონასტრის დამფუძნებელი საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენდა ქრისტიანული ტრადიციის შესაბამისად. არსად ჩანს კვალი იმისა, რომ მათ ეკლესიის იერარქებს რაიმე შეუთანხმეს, თუ არ ჩავთვლით კათოლიკოსების ხელრთვას, რაც ამ ტიპიკონების დაცვისა და სიმტკიცის გარანტი უნდა ყოფილიყო.

პეტრიწონის მონასტერს ტიპიკონი გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეუდგინა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, კონსტანტინოპოლში მდებარე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პანაგიის პატიოსანი მონასტრის წესდების მიხედვით. ტიპიკონის ბერძნულენოვანი საკონტროლო მეორე ეგზემპლარიც პანაგიის მონასტრის საცავში დაიდო და უნდა შენახულიყო „უკუნისამდე ჟამთა“.

- ამ მხრივ საყურადღებოა „ძეგლი ვაჰანის ქუაბთა“;

აქ არ არის არავითარი მინიშნება, რომელი ქვეყნის ან მონასტრის ტიპიკონის მიხედვით არის შექმნილი, მაგრამ სავარაუდოდ პირველწყარო აუცილებლად ექნებოდა და, შესაძლოა, ეს იმ დროს საქართველოში გავრცელებული გიორგი მთაწმიდელის „დიდი სჯნაქსარი“ ყოფილიყო.

- აქვე აღვნიშნავთ, რომ მონასტრის დამფუძნებლები, ქტიტორები, შემდგომად უფლის დიდებისა, ზრუნავენ საკუთარი ცოდვების მისატევებლად, ტიპიკონებში წერენ თავიანთ დამსახურებას და მონასტრის ძმებს ავალებენ, განსაკუთრებული ლოცვით, ალაპებითა და მოწყალების გაღებით ულოცონ და მოიხსენიონ.

- ამრიგად, ჩვენმა კვლევამ წარმოაჩინა ქართულენოვანი (ნათარგმნი და ორიგინალური) ტიპიკონების გავრცელებისა და ქართულ ეკლესია–მონასტრებში გამოყენების ტრადიცია და პროცესი, რამაც დაადასტურა ქართული ეკლესიის ტიპიკალური სისტემის სიახლოვე აღმოსავლურ–ქრისტიანული ეკლესიის (მართლმადიდებლურ) ტიპიკონებთან.

### **სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა:**

1. ზვიადაძე სალომე, ხანცთისა და ათონის ივერთა მონასტრების შედარებითი დახასიათება. ჟურნალი „გულანი“, N 22, 2019, გვ. 83–93.

2. ზვიადაძე სალომე, ტიპიკონების შესწავლის ისტორიიდან, სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“. N 21, 2019, გვ. 96–100.

3. ზვიადაძე სალომე, სამოხელეო ტერმინები


ქართულ ტიპიკონებში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, # 1–2, 2020, გვ. 77–87.

4. Звиададзе Саломе, Типикон Иверского Монастыря На Афоне: Предпосылки и Параллели. DergiPark, Karadeniz Uluslararası Bilimsel Dergi, N 51, გვ. 464–474.

5. ზვიადაძე სალომე, შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონის ისტორიისათვის, ჟურნალი „გულანი“, N 23, 2021.

